

ურარტული კულტურის გავრცელების საზღვრები საქართველოში.

თორნიკე ჩილინგარაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ხელოვნებისა და მეცნიერების ფაკულტეტზე არქეოლოგიის მაგისტრის აკადემიური  
ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

არქეოლოგიის პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გურამ ყიფიანი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის

პროფესორ ემერიტუსი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2020

## განაცხადი

როგორც წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორებისადმი აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თორნიკე ჩილინგარაშვილი

26.06.2020

## აბსტრაქტი

ნაშრომის პირველი ნაწილი ეხება საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ იმ არტეფაქტებს, რომლებიც მიეკუთვნებიან ურარტულ კულტურას ან გარკვეული კავშირი აქვთ მასთან. კვლევის პირველი ნაწილის მიზანია, საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ, ყველა ჩემთვის ცნობილ ურარტული ან ურარტულის მიბაძვით დამზადებული არტეფაქტების, ერთ ნაშრომში შეკრება და მათი საშუალებით ურარტული კულტურის საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელების საზღვრების დადგენა. მეორე ნაწილში განხილულია შემთხვევითი მონაპოვარი არქეოლოგიური მასალა სოფელ მოლითიდან. გამოთქმულია მოსაზრება, რომ მოლითის სამაროვანზე დადასტურებული დაკრძალვის წესი, შესაძლოა ურარტული კულტურის გავლენით აიხსნას, მაგრამ ამ მოსაზრების ჩამოყალიბების პროცესში არ არის გათვალისწინებული ხსენებული არქეოლოგიური მასალა. აქედან გამომდინარე ნაშრომის ამ ნაწილის მიზანია სწორედ მოლითის ამ ახალი, ამ დრომდე გამოუქვეყნებელი მასალის(აღნიშნული მასალიდან ამ დრომდე გამოქვეყნებული იყო მხოლოდ ერთი არტეფაქტი - თიხის შტამპური საბეჭდავი) საშუალებით დადგენა იმისა, თუ რამდენად მართებულია ზემოთხსენებული მოსაზრება დაკრძალვის აქ დადასტურებულ წესთან დაკავშირებით. საქართველოში აღმოჩენილი ურარტული არტეფაქტები სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული აქვთ ტ. ჩუბინიშვილს, კ. ფიცხელაურს, მანუელ კასტელუჩიას, დ. მინდორაშვილს და ა.შ. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ არცერთ ავტორს არ აქვს ერთ ნაშრომში თავმოყრილი საქართველოში აღმოჩენილი ყველა ურარტული არტეფაქტი და ამ პუბლიკაციების უმეტესობა, მხოლოდ ერთ კონკრეტულ არტეფაქტს ან არტეფაქტების ჯგუფს ეხება. კვლევის მეთოდოლოგია განისაზღვრება როგორც აღნიშნულ თემაზე ქართული და უცხოური ლიტერატურის კვლევა-შეჯამებით ასევე შედარებით-ტიპოლოგიური, თვისობრივი და რაოდენობრივი მეთოდების გამოყენებით. ჩემს მიერ წარმოდგენილი მასალები ადასტურებს საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხის გარკვეულ კავშირებს ურარტუს სახელმწიფოსთან და მის კულტურასთან. ეს კი მნიშვნელოვანია თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ დრომდე, არქეოლოგიური მასალის კომპლესური შესწავლის საფუძველზე, აღნიშნული კავშირების შესწავლა არ მოხდარა.

## **Abstract**

First part of the given work is about the artifacts discovered on the territory of Georgia, which belongs to the Urartian culture or have some kind of connection with it. The aim of the first part of the paper is to collect together in one work all the Urartian or Urartian like artifact discovered on the territory of Georgia, which are known for me. Moreover, to establish the distribution borders of Urartian culture on the territory of Georgia with the help of this artifacts. In the second part of the paper there is discussed chance found archaeological materials from village Moliti. There have been expressed the idea, that the burial ritual of Moliti necropolis has an influence of Urartian traditions, but in the process of establishing this idea, there have not been taken these artifacts into account. Due to this fact, one of the main goals of this part is to ascertain how much real is the above-mentioned idea about burial ritual with analyzing of Moliti new and up to now never published materials (only the stump seal has been published). There have been published Urartian artifacts in the different times By T. Chubinishvili, K. fitskhelauri, M. Castelluccia, D. mindorashvili and etc. It must be mentioned that neither of these authors collects together all Urartian artifacts discovered on the territory of Georgia in one work and majority of this publications is about concretely one artifact or group of artifacts. Research methodology is defined by using as the researching and summarizing Georgian and foreign literature as comparatively-typological, qualitative and quantitative methods. The materials that are shown here by me confirms the fact of some kind connections between the Urartian Kingdom and people living on the territory of Georgia. This is very important, if we will take in account the fact that there have not been done study of this connection by relying on complex research of the archaeological materials up to now.